წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76. პარასკევი აგვისტოს 18 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით 10 მან.
თვიურათ 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენის სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
[illegible]
2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძისა
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 105 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 105

დაჩაგრულნი მამა ბუდუან მოსეს ძე დანელია, დედა ნინა ნიკოლოზის ასული დანელიასი, დები: სა'შა და ტატიანა ბუდუანის ასულნი, ძმები: გიორგი და კონსტანტინე ბუდუანის ძენი დანელიები, ბიძა ანტონი, მამიდა ბარბალე გალუსტოვები, და საქმრო ირაკლი ისიდორეს ძე კროპი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 20 აგვისტოს, პეტრე-პავლეს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის

ლიუდმილა ბუდუანის ასულის დანელიასი

სულის მოსახსენებლათ, პანაშვიდი დაიწყება დილის 10 საათზე.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. საქართვ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა
2. ვ. **წერეთელი**. შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი**. 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი**. ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

**კვირას, 20 აგვისტოს, დილის 10 საათზე,**

რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება მოწაფეთა (განურჩევლათ სქესისა)

## საზოგადო კრება.

კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ტერიტორიის შესახებ **ნ. შუბლაძე** მოხსენების შემდეგ გაიმართება მორიგი საკითხი. კრებაზე დასწრება **სავალდებულოა.**

**მოწაფეთა პრეზიდიუმი.**

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

აგვისტოს 17, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

### ინგლისის ფრონტი საფრანგეთში

და აგრეთვე საგულისხმიერო დრამა **ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ვ ა ლ ს ი.**

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

აგვისტოს 17 ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

### ინგლისის ფრონტი საფრანგეთში

სანახაობა და **გონება კი-არა ვნება განაგებს ქვეყანას** დრამა 4 ნაწილად.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

### ტიტე მარგველაშვილის წიგნი

## ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი

**ფასი ერთი მან.** მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

### ძმ. ყ ო რ ყ ო ლ ა ძ ე ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა ში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია ს ა პ ნ ი ს საკეთებელი **სოდა** და მისი ყოველივე მასალები. ფასები ზომიერია.

## კერენსკის სიტყვა და ერები.

გაიხსნა მოსკოვის სახელმწიფოებრივი თათბირი. თავმჯდომარე კერენსკიმ სიტყვა სთქვა. სთქვა ისეთი სიტყვა, რომელიც ბევრს სიამოვნების ყიჟინტელს მოგვრის ტანში, ხოლო ბევრს მდუღარედ გადაევლება გულზე. გახარებულნი უეჭველად იმპერიალისტები დარჩებიან, ხოლო გულდათუთქულნი და დამწუხრებულნი წრფელი და ჭეშმარიტი დემოკრატები.

მთავრობაში შესვლამდი და რევოლუციის დაწყებამდის, კერენსკი სოციალისტად იყო ცნობილი, ხოლო ჩაუდგა თუ არა იგი სათავეში სახელმწიფო ბრივ ხომალდს, პირი იბრუნა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი“.

თუ კერენსკი ასეთი სოციალისტი იყო, მაშინ რით ყოფილა მილიუკოვი, გუჩკოვი და როძიანკო მასზე ნაკლები სოციალისტი? ყოველ შემთხვევაში ერთსაც და მეორესაც, როგორც მიზნები, ისე მისი სისრულეში მოსაყვანი ბრძოლის საშუალებანი, ერთი აქვთ. კადეტები ყაზახებს ამოეფარენ, კერენსკიმაც ისინი დასახა რუსეთის მხსნელად. კადეტები რეპრესიებს მოითხოვდენ „ურჩი“ ერების ჩასაჩუჩებლად, კერენსკიმ კი არ რა სთქვა მოსკოვის, „რუსეთის მხსნელ“ თათბირზე ფინეთის შესახებ: „შესაძლებელია, ფინეთმა ისარგებლოს სახელმწიფოს გაჭირვებით და შეეცადოს ძალით განახორციელოს ის მიზნები, რომლებიც დამოუკიდებლია სახელმწიფოსათვის. მე მოვახდენ შესაფერ განკარგულებას და ეს არ შესრულდება“-ო. უკრაინელებზე იგივე კერენსკი კი ამბობს: „სისხლით ჩვენი ძმები ვერ წავლენ იმ გზით, რომელზედაც შეიძლებოდეს ითქვას: მაშ რისთვის მკოცნი ძმავ, ვინ მოგცა შენ 30 ვერცხლი“-ო?

ჯერ იყო და აღიარეს ფინეთის ფართე უფლებიანი ავტონომიაც, ერთა თვით გამორკვევის პრინციპიც, თუ გინდ დამოუკიდებლობაც მოითხოვდეს იგი. უკრაინასაც მისცეს ავტონომია, შემდეგში ინსტრუქციით შეკვეცილი. სხვა ერებსაც აღუთქვეს: მოითმინეთ თქვენ მაინც დამფუძნებელ კრებამდეო. სხვა ერებმაც შეაჩერეს თვისი მოთხოვნილებანი დამფუძნებელ კრებამდი, მაგრამ რისღა იმედით უნდა ისულდგმულონ კერენსკის სიტყვების გამგონე, სამშობლოს მოყვარულმა ერებმა? მთავრობის წარმომადგენელს ყველაზე მეტი დაფიქრება და შორსმჭვრეტელობა უხამს იქონიოს. ყოველი მისი სიტყვა ვალდებულად ხდის მას, კერძო ლაპარაკშიც რომ იყოს იგი წარმოთქმული. სადღა დარჩა ოფიციალური, საქვეყნო განცხადება. და თუ ეს ანბანური ჭეშმარიტება სახელმწიფოს მართვა გამგეობაში მინისტრ-პრეზიდენტს არ ესმის, ან თუ ესმის, ვერ გაჰყავს იგი ცხოვრებაში, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ ხალხის თვალში იგი ნდობას ჰკარგავს, მის ცირკულიარებს თუ განკარგულება, ბრძანებებს არავითარი მნიშვნელობა აღარ ეძლევა. იგი ფიქცია არის, დაწერილი ქაღალდზე, გინდ ტელეგრაფის მავთულით გადაცემული.

ასე დაემართა სოციალისტ კერენსკისაც.

მან განიხილა თათბირზე ფინეთისა და უკრაინის კითხვა და ლოღიკურად ასე დაასკვნის ამ კითხვებზე ლაპარაკს: „რაც შეეხება რუსის ხალხისა და ჯარის შენაძენებს, ამას ვერავინ წაგვართმევს. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ რაც შევქმენით, შემთხვევითი იყო, ზოგჯერ ზერეულად ნაფიქრი და საჭიროა გადახედულ იქმნეს. ეხლა კი შავი მუშაობა თეთრად უნდა შეიცვალოს და მაშინ ყველაფერი თავის ალაგას იქნება დაწყობილი-“ო.

ეს სიტყვები სიმპტომატიურია. კერენსკი ინანიებს შეცდომებს, ზერელედ ნაფიქრიაო. ჯერ იმედით აღუნთო გული ჩაგრულ ერებსა და ეხლა კი სისალის წვიმებით ლამობს გამახპინძლებას. სოციალისტს ყველაზე ნაკლებ ეპატიება ეს. თუ რუსეთის სახელმწიფო ფინეთის, უკრაინის, საქართველოსა და სხვათა დაჩაგვრით გადარჩება, მაშინ რაღას უსაყვედურებდნენ სტოლიპინებსა და პროტოპოპოვებს? თუ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მხოლოდ როგორც იდეა არის მომხიბლელი და მისალები, მაშ რაღათ გვპირდებოდენ ამ იდეის რეალ სინამდვილეში განხორციელებას? კერენსკი პარტიის ბელადათ იყო რევოლუციამდის. ეხლა კი არ მგონია დაერწმუნოს ვინმე ასეთი სოციალისტას გულწრფელობას. არა მგონია გამოჩნდეს სადმე ისეთი უგუნური, რომელსაც სჯეროდეს, რომ გაბატონებული ერი, არხი სოციალისტური იდიალებითაც რომ ჰქონდეს მას დაკაწრული სხეული, ტკბილ ლუკმას მოძმეს გადაუგდებს (ტკბილი ლუკმაა ველიკორუსებისთვის განაპირა ერებს ტერიტორიები). ეროვნული კითხვა, როგორც სოციალური, ისეთი რამ არის, რომ მას რიალურ ძალთა ბრძოლა და საერთაშორისო კონგრესი უფრო გადასწყვეტს, ვინემ რომელიმე მთავრობის, მით უმეტეს გაბატონებული ერისა, დაპირება და დეკლარაცია—ინსტრუქციები. ავტოკეფალობის კითხვის ზურგზე ამტან ქართველებს ეს ყველაზე უფრო უნდა გვესმდეს.

**ინ ხანი.**

## რევოლუციის კრიზისი

რევოლუცია ყოველ-მხრივ ტრალიზმს ალნიშნავდენ განიცდის.

რევოლუცია ვერ იქცა სრულიად რუსეთისთვის შემოქმედების, ფაქტორად.

დამონებული ერები რეპრესიებს დატუქსვას მოელიან. ასე ხდება დემოკრატიის გამაგრების და განმტკიცების ხანაში.

ძველი, ყველასაგან შეზარებული წესები აღდგენილ იქმნა. გუშინ სიხარულის სიკვდილით დასჯის და ადმინისტრაციულ წესით გადასახლების გაუქმებას, დღეს ეს დრო ძოქმული, დახავსებული კანონები ხელ ახლა შემოიღეს. ძველი რეჟიმის დროს ხალხი შეავიწროვა. გაამწარა ცხოვრების გაძვირება გაძნელებამ.

სურსათის კრიზისის გამო წარმოშობილმა უკმაყოფილებამ რევოლუციის მოხდენას შეუწყო ხელი.

კრიტიკული მდგომარეობა არ შეცვლილა განახლებულ რუსეთში. ცხოვრება უარესდება. შრომის და კაპიტალის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება საბედისწეროთ იქცა. რუსეთის წარმოებები იკეტება.

გაჰქრა მანიფაქტურა, ტყავეულობა. ხალხს მოელის ფეხშიშველა და ტანთ შიშველა სიარული. შიმშილიც მომხდარ ფაქტათ ითვლება. რუსეთში ამ ნიადაგზე უკვე მოხდა ექსცესები. ძალაუნებურათ გვიხდება საფრანგეთის რევოლუციის მოგონება, როდესაც თითო ფეხსაცმელში 300 მან. აძლევდენ, გირვანქა პურში 10 მან., მაგრამ მაინც ვერ შოულობდენ.

გაფიცვები ფართე და საყოველთაო ხასიათს ღებულობს. მუშები იუმჯობესებენ საკუთარ ყოფას. ის ვინც იღებდა რევოლუციამდის 100 მან, დღეს 700-1000 მან. ღებულობს. რაც შეეხება ინტელიგენტურ საქმეებში მომუშავეთ, მათ შრომის ფასი არ მომატებიათ და დღეს ისინიც გაფიცვის საშვალებით ეპირებიან თავის დაკმაყოფილებას.

გაუნათლებელი ხალხი უკვე გაღიზიანებულია და მოსალოდნელია სულ მოკლე ხანში რევოლუციას კრიჭაში ჩაუდგეს.

რევოლუცია უკან იხევს. კერენსკები წინანდელ პირობას უარყოფენ დაგმობილი წესები ახლდება, მაგრამ ეს ვერ სპობს ტრალიზმს. რევოლუციას აკლია ზუნებრივი შემოქმედება.

ცალკე კლასები ვერ გაუძლევებიან რევოლუციას. მის კეთილ დაგვირგვინებისთვის საჭიროა მთელი ხალხი იქმნეს მოწოდებული და მოქმედებაში ჩაბმული.

აქნობამდის რევოლუცია სოციალისტების დროშით ვიდოდა. აწ შეიძლება მას ზომიერი ელემენტები და კადეტები დაეპატრონონ ამის მაჩვენებელი მოსკოვის ბჭობაა.

მოპირდაპირე გერმანეთი განაგრძობს საომო ოპერაციებს და ემუქრება რუსეთის სახელმწიფოს სხეულს.

საქართველოშიც შავ დღეში ვართ. რუსეთის კრიზისი ჩვენზე თანასწორათ ვრცელდება. ცხოვრების გაძვირება-გაძნელება ჩვენშიც საბედისწერო მდგომარეობას ჰქმნის. ხალხის დამშევა და ამ ნიადაგზე აღელვება დამღუპავ პერსპექტივათ წარმოსდგა.

სოფლებში ხალხი უკმაყოფილებას მაჟღავნებს. პურის შეზიდვა შეუძლებელი ხდება.

აი ყველა ამ გარემოებას უნდა ჩაუფიქრდეთ დღეს და, თუ ხალხის კეთილდღეობა გვაინტერესებს კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა უნდა გამოვსძებნოთ.

**ი. იმერელი**

## ქართული პრესა.

ბ-ნმა „გ—კემ“, ამას წინედ, „ჩვენს მეგობარში“ (№ 415) ამისთანა აზრი წარმოსთქვა: „სამარცხვინო საქმე იქნება, მოქალაქემ რომ ეროვნულ-დემოკრატების სიას ხმა მისცესო“.

ეს უმგვანო გამოლაშქრება მთელი პარტიის წინააღმდეგ ჩვენ ავხსენით ორში ერთი ღებულებით: ან ავტორის უმეცრებით ან და ურცხვობით (იხ. დ. გურულის წერილი. „ჩვ. ქვეყანა“, № 101). და მართლაც ან სულ უვიცი უნდა იყოს ადამიანი, ან და დიდი უტიფარი, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტიის არსებობა „სამარცხვინო საქმედ“ ჩასთვალოს.

თანაც გაკვირვებით ვეკითხებოდით ავტორს: რატომ უნდა მივიღოთ „სამარცხვინო საქმედ“, თუ არა-სოციალისტმა მოქალაქემ არა-სოციალისტურ პარტიას თავისი საარჩევნო ხმა მისცა-თქო? („ჩვ. ქვეყანა“, № 101).

ბ. „გ—კეს“, ჩვენდა საპასუხოდ, გაზეთის ორი სვეტი გაუპრელებია, მაგრამ პასუხს კი ერთი სიტყვითაც არ იძლევა. აბა გასინჯეთ თვითონ, რა პასუხია ამნაირი მოსაზრება:

„ხმა მიეცით ნაციონალ-დემოკრატებს-თქო, რომ გვეთქვა, მაშინ არა სოციალისტ-ფედერალისტები ვიქნებოდით“. („ჩვ. მეგობარი“ № 421).

რაო?! განა ჩვენ როდისმე გისაყვედურეთ, რატომ მოქალაქეთ არ ურჩევთ—ნაციონალ-დემოკრატებს ხმა მიეცითო?! ვინ გიშლით, მოუწოდეთ ხალხს, რომ ხმა თქვენ მოგცეს და არა სხვა პარტიას. ამის წინააღმდეგი ჩვენ არაოდეს არ ვყოფილვართ. ჩვენ სულით და გულით წინ აღუდექით მარტო იმას, რომ ჩვენი პარტიისადმი მოქალაქის თანაგრძნობა თქვენ „სამარცხვინო საქმედ“ აღიარეთ.

ავიღოთ მეორე მაგალითი. ჩვენ ვამბობდით (იხ. დ. გურულის წერილი), რომ ქალაქის საბჭოში არა-სოციალისტური ელემენტები (ბურჟუაზიული) საჭიროა. ბ. „გ—კე“ გვიპასუხებს, რომ ბურჟუაზიისათვის დემოკრატიული რეფორმები სასურველი არ იქნებაო.

„განა რუსეთის ბურჟუაზიის სურვილი იყო რვა საათის სამუშაო დღის შემოღებაო“. („ჩვ. მეგობარი“, № 421).

კადეტები ბურჟუაზიულ პარტიას წარმოადგენენ. წაიკითხეთ, ბ-ნო „გ—კე“, იმათი პროგრამა, რომელიც იყო მიღებული, მოსკოვში, პარტიის დამფუძნებელ კრებაზე 12—18 ოქტომბერს 1905 წ. იქ ნახავთ 44 მუხლს, რომელიც გარკვევით ამბობს:

„ახლავე შემოღებულ იქნას, განსაკუთრებული კანონის გამოცემით, რვა საათის სამუშაო დღე“.

მაშასადამე, ბურჟუაზიული პარტია, თუ კი ის დემოკრატიულია, დემოკრატიულ რეფორმების შემოღებას უთუოთ ხელს შეუწყობს.

გამოდის, რომ ბ. „გ—კე“ პუბლიცისტობას ჩემულობს, პოლიტიკურ პარტიებზე სჯა-ბაასობს და თურმე პოლიტიკური პარტიების პროგრამებიც კი არ შეუსწავლია. გულახდილათ უნდა ვიღიაროთ,

რომ ეს სამწუხარო მოვლენას წარმოადგენს ჩვენს პრესაში. გამოდიან ვექილ-ტონები და ხალხის მოძღვრებათ თავს ალიარებენ. იმავე დროს იმათ ფიქრიც არ გაუვლის, რომ ამისთანა მძიმე და საპასუხისმგებლო საქმისათვის საჭიროა ჯერ უფლება მოიპოვონ. საჭიროა, ჯერ თვითონ ისწავლონ და მერე სხვას ასწავლონ.

რაც შეეხება ჩვენი თანამშრომლის „ახლად მოვლენილ პუბლიცისტობას", შეგვიძლია ბ-ნი „გ—კე" დავარწმუნოთ, რომ დ. გურულისათვის პუბლიცისტიკა ახალი ხილი არაა და თავისი სწავლა-განათლება „გოროდის კლასით" არ შეუზღუდავს.

## რუსული პრესა.

**მოსკოვის სახელმწიფო თათბირი.**

რუსეთის ყველა გაზეთები თითქმის უკლებლივ იმედიანათ შეჰყურებენ მოსკოვის თათბირს. გაზ. „რეჩ"-ს დისონანსი შეაქვს:

„გადაწყვეტილად შეიძლება ითქვას, რომ კერენსკის სიტყვას ბუნდოვანი ელფერი აქვს და მთავრობის ეხლანდელ პოლიტიკის იდეოლოგიურ გატაცებას უფრო წააგავს, ვიდრე სახელმწიფოს მომავალ პროგრამას. საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ დაკავებულ პოზიციებს კერენსკის სიტყვა ვერ შესცვლის".

„რეჩის" აზრს ამართლებს „დენის" მიერ დახატული განწყობილება რუსეთის საზოგადოებრივი 2 დიდი ჯგუფისა ურთი ერთ შორის.

„რუსეთის შეძლებულ კლასების წინაშე რუსეთის დემოკრატიამ შესწყვიტა ფრაქციული უთანხმოება და ერთსულოვნება გამოიჩინა, რითაც თვისი ძალა აგრძნობინა მათ. დეკლარაციის დროს ორი მხრიდან სწარმოებდა დემონსტრაცია: სამხედრო კომიტეტების გახსენებაზე მარცხნიდან იგრიალებდა ხოლმე ტაში, ბოლშევიზმთან ბრძოლის საჭიროების აღნიშვნა კი ბურჟუაზიის ზეიმს იწვევდა.

თუმცა გაზეთი ქვეით კერენსკის ქება-დიდებას ასხამს და მის სიტყვას „ბრინჯაოსაგან გამოკვეთილ რევოლუციის ძეგლს" უწოდებს, მაგრამ თათბირზე აღმოჩენილ განხეთქილებას ველარც კერენსკის „ხელი ხელ საგოგმანოები" სიტყვების შთაბეჭდილება ჰფარავს.

## მოსკოვის სახელმწიფო თათბირი.

3. დ. ს.

დ ე პ ე შ ი.

(მეორე სხდომა)

(გაგრძელება იხ. „ჩვენი ქვეყ" №104)

**ბოლმაკოვის მოწოდება.**

სტაროობრიადელების წარმომადგენელმა ბოლმსკოვმა სტაროობრიადელების დეკლარაცია განაცხადა. იგი მოუწოდებდა მთავრობას, რომ განკარგულება მოეხდინა სტაროობრიადელების შესახებ იგი სთხოვდა აგრეთვე პურის მინდვრებიდან გამოტანის მოწყობას.

**ყაზახთა გენერალ კალედინის სიტყვა: ყაზახობა და რევოლუცია.**

ყაზახთა საბჭოების წარმომადგენელ გენერალ კალედინს დიდის ტაშით შეეგებნენ. მან განაცხადა, რომ ყაზახობა დიდ სინანულს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ კლასობრივი და პარტიული პოლიტიკა აღემატა საერთო ინტერესებს. კალედინს სწამს და სალამს უძღვნის მთავრობის გადაწყვეტილებას, — რომელიც კლასობრივ და პარტიულ გავლენიანობისაგან განთავისუფლებლად მიიღო. თავისუფალი ყაზახობა კი არ დაითრო თავისუფლებით, არამედ მან თავისუფლდება ცხოვრებაში გაატარა და დემოკრატიული სამხედრო მთავრობა შექნა. ყაზახობა სიამაყით აცხადებს, რომ მათ ბრძოლიდან გაპარვა თუ გაქცევა არ იციან, რომ ისინი მხნედ აცავენ და შემდეგშიც დაიცავენ სამშობლოსა და თავისუფლებას. ყაზახობა სიამაყით აცხადებს, რომ იმ სამწუხარო დროსაც, როდესაც სამშობლო დიდ მწუხარებას განიცდიდა, ყაზახობამ ისტორიულ გზას არ გადაუხვია. იგი იარაღით ხელში ბრძოლის ველზე დარაჯად ედგა სამშობლოს, ხოლო შინ ღალატის და გამცემლობის წინაილმდეგ აწარმოებდა ბრძოლას. ყაზახობა ამ საშიშარ დროს მოუწოდებს ყველა ცოცხალ ძალას გაერთიანებისკენ, შრომისა, და სამშობლოს სახსნელად და დემოკრატიულ რესპუბლიკანურ თავგანწირვისაკენ. (ტაში ყველა კუთხიდან). სამშობლოს დაცვა, ომის მოკავშირეებთან ერთად, გამარჯვებამდის მიყვანას მოითხოვს. მთავრობა ამას უნდა ანხორციელებდეს და აი მაშინ იგი სრულს ნდობას დაიმსახურებს ყაზახების თვალში და ყაზახობაც მას მხარს დაუჭერს.

**რას მოითხოვს ყაზახობა.**

სამშობლოს სახსნელად ყაზახობა მოითხოვს: პოლიტიკის გერეშე მყოფს ლაშქარს, ყოველივე მიტინგების, თუ ყრილობების აკრძალვას ლაშქარში. ყველა საბჭოების და კომიტეტების გაუქმებას (ხმაურობა მარცხნით, ტაში მარჯვნივ), როგორც ზურგში ისე ფრონტზე, საპოლკო საროტო, სასეულო და საბატარეითა გარდა, სამეურნეო წესების დარგში მათის უფლებების და მოვალეობის საგრძნობლად შეზღუდვით; ჯარისკაც მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის გადასინჯვას (ხმაურობა, ტაში), ლაშქარში დისციპლინის დამყარებას, გადამწყვეტ ზომების მიღებას როგორც ფრონტზე, ისე ზურგში სასჯელთ გადამწყვეტ უფროსების დაყენებას (მქუხარე ტაში მარჯვნიდან). საჭიროა მტკიცე მთავრობის აღდგენა ისეთ გამოცდილების ხელში, რომელთაც კავშირი არა აქვთ პარტიულ პროგრამებთან, კომიტეტებთან და საბჭოებთან. სუვერენულ უფლების წყაროდ ხალხის საერთო ნება უნდა ჩაითვალოს და არა ცალკე პარტიების, თუ ჯხუფების ნება. ყაზახობა მოითხოვს მოსამზადებელ მუშაობას და არჩევნების კანონიერებას მთელ რუსეთისათვის. დამფუძნებელ კრების ალაგად, როგორც თვის ისტორიულ მნიშვნელობის ისე მდებარეობის მიხედვით მოსკოვი უნდა იყოს. ყაზახობა მოწოდებით მიმართავს მთავრობას, ყველა ძალების სამშობლოს სახსნელათ და მის საკეთილდღეოთ გამოსაყენებლად (მქუხარე ტაში).

**კერენსკის განცხადება.**

კერენსკი მეორედ მოუწოდებს დამსწრეთ თავი შეიკაონ ყოველივე როგორც შეურაცხმყოფელ, ისე მომწონებელ ხმაურობისაგან. მან განაცხადა, რომ მთავრობას ჰსურს ყველა დამსწრეთა აზრი მოისმინოს და სთხოვა, ნუ დაივიწყებენ, რომ თათბირი მთავრობამ მოიწვია, და შეუფერებლია ამ კრებაზე დროებით მთავრობისადმი მოთხოვნილებათა წარდგენა (ტაში. პურიშკევიჩი ადგილიდან: ჩვენ მთავრობაში სტატისტების როლს ვასრულებდით).

კერენსკიმ განაცხადა — „დროებით მთავრობამ საჭიროდ სცნო გამოეწვია უმაღლესი მთავარსარდალი, რომ მას ფრონტისა და ლაშქრის მდგომარეობა დაეხატა. თქვენ გეკუთვნისთ სიტყვა, გენერალო, მიმართა კერენსკიმ კორნილოვს, — რომელსაც ყველა მქუხარე ტაშით ეგებება მარცხენა მხარის ნაწილის გარდა. (ხმებია „ადექით"; ხმაურობა, არავინ დგება კერენსკი სიწყნარის დაცვას და მთავრობის პირველ ჯარისკაცის პატივისცემით მოსმენას მოითხოვს).

კორნილოვი მიესალმება დროებით მთავრობას მომქმედ ჯარის სახელით და გამოსთქვამს მწუხარებას, რომ არ შეუძლიან მიესალმოს ყველა ჯარებისაგან, რადგანაც დარწმუნებული არ არის, რომ რუსეთის ჯარი შეუძრეკელად შეასრულებს თავის ვალს სამშობლოს წინაშე. კორნილოვი არწმუნებს ყველას, რომ ანარქია ჯარში მოსპობილი იქნება, მაგრამ დამუქრება რუმინეთისა, რიგისა და პეტროგრადის გზისადმი წინ გვიძევსო. ჯარი უთუოდ უნდა აღდგენილ იქმნას, რადგანაც ხსნა არა გვაქვს მის გარეშე.

**თათბირის ჯგუფურის წევრების რაოდენობა.**

მოსკოვის ქალაქის გამგეობამ თათბირში მონაწილეობისათვის ჩამოსულ ჯგუფების წევრთა რაოდენობა გამოიანგარიშა დაახლოვებით: ოთხთავე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლები — 488, გლეხთა წარმომადგენლი — 100, ჯარისკაცთა დეპუტატების — 100, აღმასრულებელ კომიტეტის და ჯარისკაცთა შეერთებულ კომიტეტების — 129, ქალაქების — 147, ერობისა და საქალაქო კავშირების — 18, ერობის — 118, სავაჭრო-სამრეწველო ბანკების და საზოგადოების — 150, სამეცნიერო ორგანიზაციების — 99, მშრომელ ინტელიგენციის 83. ლაშქრისა და ფლოტის — 117, სამღვდელოების და სასულიერო ორგანიზაციების — 29, ეროვნულ- საზოგადოებათა 58, სასურსათო კომიტეტების — 90. სოფლის სამეურნეო საზოგადებათა- 51, კოპერატივების — 313, პროფესიული საზოგადოების — 176 სამართველო კომისრების 33, სამხედრო უწყების -1, მოსკოვის სასამართლოს დაწესებულებათა — 4, მთავრობის წევრნი და მინისტრების წარმომადგენელები 15.

აგვისტოს 13-ს კვლავ 100 ზე მეტი წევრი მოემატა. ამათში ეპისკოპოსი ევლოგი, გენერალ კორნილოვი და მინისტრები: სკობოლევი და იურენევი. საერთოდ 2, მეტი წარმომადგენელია.

**მჭერმეტყველთა დანაწილება.**

აგვისტოს 13-ს საღამოთი სხვა და ჯგუფების მჭევრმეტყველობის არჩევა დასრულდა, სულ 91 მჭევრმეტყველია. მათი არჩევა ყველა ჯგუფის წარმომადგენლის თანხმობით მოხდა. მჭერმეტყველთა სიმრავლის გამო თათბირი აგვისტოს 15 დის გასტანს. ჯგუფების დეკლარაციებს ორ დღის განმავლობაში გამოაცხადებენ. ყოველ დღე ილაპარაკებენ: 1 ლი მე-2 და მე-3 სახელმწიფო სათათბიროს ორ-ორი წევრი და მე-4 სი ოთხ-ოთხი, ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალ კომიტეტის — 3, დანარჩენ ჯგუფების 1—4 მჭევრმეტყველი. ჯგუფებში შედიან: სამღვდელოება, მრევლი, სტაროობრიადელები, სახარების მიმდევარნი გლეხები, ყაზახთა ორგანიზაციები, საბჭო, გლეხთა კავშირი, მშრომელი ინტელიგენცია ქალთა სწორ უფლების ლიგა, ქალაქების და საერობო თვითმართველობანი, ქალაქებისა და ერობის მოსანსახურეთა კავშირები, აკადემიის ჯგუფი, სამოსწავლო ორგანიზაციის კავშირი, კავშირი: წმ. გიორგის კავალერებისა, ლაშქრისა და ფლოტისა, ოფიცერთა დეპუტატების საბჭოები, დაშავებულ ჯარის კაცთა კავშირი ლაშქრის, ფრონტის და ფლოტის კომიტეტები, კოოპერატივები, სასურსათო კომიტეტები, მოსამსახურეთა კავშირები, ეროვნული ჯგუფები, ეროვნულ-სოციალისტური ჯგუფები, ვაჭრობა-მრეწველობის და სამხედრო-მრეწველობის კომიტეტები, პროფესიული კავშირები, ბანკები, რკინის გზისკენ ჯგუფები და სხვანი.

**სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენელთა თათბირი.**

აგვისტოს 14 ს დღისით პირველ სამ სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებს და გლეხთა დეპუტატებს ცენტრალ საბჭოებს ჰქონდათ თათბირი. ხოლო საღამოს მე-4ე სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებს. და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენლებს. დილის სხდომაში მონაწილეობდნენ: აკადემიურ ჯგუფის წარმომადგენელნი სამასწავლებლო კავშირებისა, გიორგის კავალრების, ლაშქრისა და ფლოტის ოფიცრებისა, დაშავებულ ჯარისკაცების, სასურსათო კომიტეტების, კოპერატივების, პოლიტიკურ პარტიების და ჯგუფები; საღამოსაში — წარმომადგენლები სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტების, პროფესიონალურ კავშირების, ბანკების და ეროვნულ ჯგუფების. მჭერმეტყველი ლაპარაკის დრო განსაზღვრული აქვთ 5 20 წუთამდე იმ მოსაზრებით, რომ თათბირი აგვისტოს 15 ღამე დამთავრდა.

**საბჭოთა შეერთებული კრება.**

**მოსკოვი.** აგვისტო 13. საღამოს ზიმინის თეატრში საბჭოთა შეერთებული კრება მოხდა. კრებას **ჩხეიძე** თავმჯდომარეობდა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა წერეთელმა. იგი შეეხო ბურჟუაზიის და დემოკრატიის ურთიერთ შორის დამოკიდებულებას წერეთელმა განაცხადა; დემოკრატიამ უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ინტერესები მჭიდროდაა გადაწნული სამშობლოს კეთილდღეობაზე, — ხოლო ბურჟუაზიამ უნდა შეიგნოს დემოკრატიასთან შეთანხმების აუცილებლობა.

**დანმა** დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა დეკლარაციის პროექტი წარადგინა. დეკლარაცია შეეხება ხალხურ-სამეურნეო ცხოვრების, ორგანიზაციას, სამხედრო ძალებს და საგარეო პოლიტიტიკაა. ეროვნულ მმართველობის საკითხების შემზადება კომისიას დაევალა.

**წერეთლის განცხადება.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 13. დეპუტატთა საბჭოების მიერ გამართულ მიტინგზე წერეთელმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. მან განაცხადა; დემოკრატიამ ხმა-მაღლა უნდა უთხრას მთავრობას, რომ სამშობლოს ხსნა რევოლუციით მოპოვებულ უფლებების დაუცველად არ შეიძლება. საჭიროა სამშობლოს სახსნელად კოალიციურ კავშირის შექმნა, რომელშიაც დემოკრატიის მეთაურობით მცხოვრებთ ყველა ჯგუფი მონაწილეობას იღებდესო.

**კერენსკის აღლუმი.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 13. ალექსეევის სამხედრო სკოლის მოწაფეებმა, სათადარიგო პოლკების, არტილერიის და ყაზახების დახმარებით საალუმო (სამარულო) მინდორზე სამხედრო დღესასწაული გამართეს. კერენსკის სამხედრო მუსიკით შეეგებენ. სამხედრო მინისტრი თვითეულ როტას სალამს აძლევდა „გამარჯვება, მეგობრებო"-ო კერენსკის ხალხმა ოვაცია გაუმართა. კერენსკიმ ახალგაზდა სამხედრო მოწაფეთა ჯგუფს მიმართა: „იყავი მზად!" და საპასუხოდ ბავშთა ხმა შეესმა „მე მუდამ მზად ვარ!" კერენსკიმ მადლობა გადაუხადა ყაზახებს სამშობლოს ერთგულ სამსახურისთვის, და დაათვალიერა ქვეითა ჯარი, არტილერია და ყაზახები.

**კიევის დეპუტატების საბჭოს რეზოლუცია.**

**კიევი.** აგვისტოს 12. დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტმა მოსკოვის სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მიღებულ რეზოლუციით ის აზრი გამოსთქვა, რომ იგი უმეტესად კონტრ-რევოლუციონურია და არა ხალხის სურვილების გამომხატველი. ამიტომ იგი შეეცდება უფლება მოსილების ხელში ჩაგდების ნიადაგის შემზადებას. კიევის დეპუტატთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია, რომ რევოლუციონურ მთავრობის წარმომადგენლები შეერთდნენ მტკიცედ და დაუყონებლივ მოითხოვონ ივლისის 8-ში გამოქვეყნებულ პროგრამის ცხოვრებაში გატარება.

**ბოლშევიკების პროტესტი.**

**კოსტრომა.** აგვისტოს 12. ბოლშევიკების თაოსნობით მოსკოვის თათბირისა და სიკვდილით სასჯელის აღდგენის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაიმართა. ქარხნებში გაფიცვაა. მიტინგებზე საპროტესტო რეზოლუციები გამოაქვთ.

**მესამე სხდომა.**

ე რ ო ბ ა.

**მოსკოვი.** აგვისტოს 15. ცენზიან ერობის მომხრე, მოსკოვის ერობის თავმჯდომარე **გრუზინოვი** აღნიშნავს ერობის როლს 50 წლის განმავლობაში და ამბობს, რომ განხეთქილების გამო როგორც ადგილობრივ ისე თათბირზე ბევრი საერობო მუშაკი აქ არ არის მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჟუად მონათლეს ისინი. ერობა ნელნელა კოტრდება, რადგანაც ადგილობრივ მთავრობა არ არის და მცხოვრებთ შეგნება არა აქვთ. გრუზინოვი უერთდება მე-4 სათათბიროს წევრთა დეკლარაციას, რომელიც მოითხოვს ჯარის გაძლიერებას, პოლიტიკის მოსპობას მასში, უფროსების დისციპლინალურ უფლების აღდგენას, კომიტეტების მოქმედების სამეურნეო ფუნქციებით ვინსაზღვრას, სრული დამოუკიდებლობა შინაურ მმართველობაში. ალმ. კომიტ. სახელით სალაზკინი და 26 დემოკრატიულ ერობის სახელით **კოხი** ჩხეიძის მიერ მოხსენებულ გაერთიანებულ დემოკრატიულ ორგანიზაციათა დეკლარაციას უერთდებიან. დემოკრატ. ერობა საფუძვლად დაედება სახელმწიფოს შენობას. ეროპა ერთ და იმავე დროს ადგილობრივ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთაც უნდა იყოს და მასზე უნდა ემყარებოდეს კონტრრევოლუციასთან ბრძოლა. სალაზკინს საჭიროდ მიაჩნია მთავრობის ძალის გამტკიცებას ადგილობრივ და გზა და გზა სოციალურ რეფორმებისა და მთავრობის ივლისის 18-ის ლონისძიებითა განხორციელება. სალაზკინი მხარს უჭერს წერეთლის განცხადებას.

**რკინის გზის რღვევა.**

სარკინისგზო კავშირის წარმომადგენელი **არეხოვი** ასურათებს რკინის გზებზე არსებულ რღვევას. ასახელებს რამდენიმე ღონის ძიებას, მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულს. არეხოვი უკვე დაწყებულ ბრძოლას სარკინისგზო კავშირთან კონტრრევოლუციურ ნაბიჯს. კერძო რკინის გზების წარმოდგენილი **ბაიდაკი** რღვევის მიზეზებად ასახელებს მთავრობის ზომების გამო / დისციპლინის გაქრობას, შრომის შემცირებას, საპასუხისმგებლო პირების გადაყენებას და უუფლებობის შეგნებას. საშველი მხოლოდ ამ მიზეზების მოსპობაშიაო.

რადგანაც კერენსკი [illegible] დროებით საპროტესტო [illegible] თათბირს [illegible] თავმჯდომარეობას პროკოპოვიჩი შეუდგა. ინჟინერთა რამდენიმე კავშირის სახელით **ფროლოვი**. ამბობს, რომ რკინის გზების რღვევას მოჰყვება შიმშილი [illegible], წყალდიდობა, [illegible] ხელს [illegible] ძველი მთავრობის აღდგენას. უფრო საშიშია ამ [illegible] მდგომარეობა. [illegible] ჯარი [illegible] რუსეთს და ისეთი კატასტროფა მოხდება რომლის მაგვარიც ქვეყნიერებას არ ახსოვს. მაშინ ბევრი იქნება გერმანეთის ვახმისტრისგან ხსნის მომლოდინე და შესთხოვენ მას მოვიდეს და დაამყაროს წესრიგი. გაფიცვები რკინის გზებზე დამღუპველია. გერმანელთა ჯაშუშები მოქმედებენ რუსეთში, რომელიც ჯაშუშობის ქსელშია გაბმული. სახელმწიფოს ოთხკუთხედებით ანადგურებენ: პირველი ოთხკუთხედი — ჯარი უკვე დახვრიტეს, მეორე -მრეწველობა, მესამე სასოფლო მეურნეობა, ბოლოს მეოთხე — რკინის გზები. ორატორი პროტესტს აცხადებს დახელოვნებულ ნიჭიერ პირთა დევნის წინააღმდეგ; ეს ძველი მთავრობის მეთოდიაო. შემდეგ ასახელებს ღონის ძიებებს: შრომის ბეგარის შემოღება, რკინის გზების სამინისტროს მიერ დაწესებულ მმართველობის ხელში გადაცემა, პროფესიანალ კავშირების ადმინისტრაციის განკარგულებებში ჩარევის აღკრძალვა, რკინის გზებზე სახელმწიფო მილიციის შექმნა და სხვა.

**ეროვნებათა წარმომადგენელნი.**

ქართველების წარმომადგენლები ჩხენკელი, მაჭავარიანი, სომხობისა — ბაშიევი და ნაზარიანცი, ებრაელების გრუზენბერგი, აბრამოვიჩი, მაჰმადიანთა თოპჩიბაშევი, ლატიშების-სალიტ. კოლონელების — ხმელსკი, იანუშკევიჩი, ბელორუსების — გრომადა, გირსი და ჩეხოსლოვაკების — ივანოვსკი თავისი ერების სახელით საერთო სამშობლოს ინტერესებისადმი თანახმობას გამოსთქვამენ და აცხადებენ, რომ მზად არიან უდიდესი მსხვერპლი გაიღონ. წარმომადგენლებმა თავიანთ სიტყვებში სურვილი გამოსთქვეს, რათა მთავრობამ შესაფერი აქტით განახორციელოს რუსეთის რევოლუციის ლოზუნგი ერთა თვით გამორკვევისა. (კრება დროებით შესწყდა.)

**„სრულიად რუსეთის სამხედრო მიტინგი გერმანელთა მონაწილეობით".**

კრების განახლების შემდეგ ტრიბუნაზე ადის **გენ. ალექსეევი**, რომელსაც ტაშით შეხვდნენ. საშიშოება, ამბობს ორატორი, ჩვენი ყურადღება ჯარზეა მიქცეული, რომელიც რუსეთის ღირსებას იცავს, და მის სახალხო თუ მძიმე ბედს სჭედავს. სამშობლოს ბედისათვის გულის ტკივილი აიძულებს ჯარს სძლიოს თავის მძიმე დანიშნულება, არა და მტერი იზეიმებს გამარჯვებას. ყოფილი ამირსპასალარი 3 წლის განმავლობის ჯარის მდგომარეობაზე ლაპარაკობს და ამბობს, თუმცა იყო შეცდომები, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ძლიერი სული მხედრობისაო. არმია, რომელსაც შეეძლო შემდეგშიაც მტკიცედ ებრძოლა და რუსეთი ახლო მომავალში ზავამდე მიეყვანა, რევოლუციის გამარჯვებისათვის სახიფათო აღმოჩნდა. ეხამად ჩაესო ჯარს ტანში ბრძანება №1 რომელმაც დაშალა ჯარისკაცთა მასსა და აფიცრობას ჩამოაშორა ერთბაშად. იქნებ ამ ეხამს მოინელებდა ჯარის ჯანსაღი ორგანიზმი, მაგრამ ჯარს მძლავრ ტალღასავით მოედო აგიტაცია და ლაშქარი სააგიტაციო ბანაკად გადაიქცა. შემდეგ დაებადათ აზრი სადისციპლინო უფლება ჩამოართვან აფიცრებს და უფროს ჯარისკაცებს და შესწყვიტონ საერთო სამხედრო კანონების მოქმედება. ალექსეევმა კომიტეტების შესახებ სთქვა: მართალია სამეურნეო სფეროში ცოტა რამ გააკეთა, მაგრამ სარგებლობა და მავნებლობა რომ ავწონოთ. უკანასკნელი მეტი აღმოჩნდება, ჯარისკაცის უფლებათა დეკლარაციის შესახებ ალექსეევმა სთქვა, რომ მისი დაკანონების შემდეგ წესრიგი სულ დაირღვა. პოლიტიკა გამეფდა. ჯარი მიტინგებმა გაიტაცა. ჯარში დაიბადა სურვილი ზავისა და საკუთარი ძვირფასი სიცოცხლის შენახვისა. ამის შემდეგ ლაშქარი სრულიად რუსეთის სამხედრო მიტინგათ, გარდაიქცა გერმანელთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

(გაგრძელება იქნება.)

# მოსკოვის თათბირის გარშემო.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**ჯგუფების თათბირი.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 13 გუშინ საღამოს დაწყებული ჯგუფების თათბირი დღეს დილიდანვე განახლდა, პოლიტიკურ ცხოვრების ცენტრი უნივერსიტეტში იქმნა გადატანილი, რადგანაც თითქმის ყველა კრებები იქ იყო დანიშნული. ცალკე ჯგუფებს თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება დაეჭირათ მთავრობის განცხადებებთან და აგრეთვე თვით სახელმწიფო თათბირთან. ზოგიერთა ჯგუფს თათბირი მეტად გაუჭიანურდა, ასე რომ სრული გარდაწყვეტილებაც ვერ მიიღეს. საღამოთი ჯგუფებს თათბირი ისევ ჰქონდათ.

**ბოლშევიკების ჯგუფი.**

ბოლშევიკების ჯგუფმა ის აზრი გამოიტანა რომ მთავრობის გუშინდელმა გამოსვლამ მთლად ახსნა მისი პოზიცია, ხოლო რაც შეეხება თვით მოსკოვის თათბირს, მას შემადგენლობის გამო არ შეიძლიან რუსეთის და ხალხის სურვილებისა თუ ნების გამომხატველად გამოვიდეს და იგი კონტრ-რევოლუციონერი სახისა. ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს პროლეტარიატის დიქტატურა მოითხოვონ და თუ აგვისტოს 14 თათბირზე მათ უმრავლესობა წინააღუდგება, დარბაზს დასტოვებენ.

**სოციალ-დემოკრატების** (მენშევიკების) **ჯგუფი.**

მენშევიკების ჯგუფი უარყოფით შეეგება მოსკოვის თათბირს. მენშევიკ-ინტერნაციონალისტები დაჟინებით მოითხოვენ, რომ მთელ ჯგუფს მოეთხოვნა მთავრობისგან! სიკვდილით სასჯელის მოსპობა, ეროვნულ საკითხების რეპრესიებით გადაწყვეტაზე ხელის აღება, და საზავოთ მოწოდება. დღის სხდომაზე მენშევიკების ჯგუფს გადაწყვეტილება არ მიუღია.

**სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფი**

სოციალისტ-რევოლუციონერთა თათბირზე ორ მიმდინარეობამ იჩინა თავი. უკიდურესნი მოითხოვენ რომ მთელი უფლება სოციალ-დემოკრატების ხელში გადასულიყო, ხოლო მათ წინააღმდეგნი იყვნენ ზომიერები. უკიდურესნი უმცირესობას შეადგენენ. ბრეშკო-ბრეშკოვსკაია ორივ მიმდინარეობის შეერთებას შეეცადა. იგი მათ მთავრობის მხრის დასაჭერად და ერთობისაკენ მოუწოდებდა. ჯერ-ჯერობით შეთანხმება არ მომხდარა.

**აკადემიური ჯგუფი.**

აკადემიური ჯგუფი ორ ნაწილად დაიყო. პეტროგრადელები მოითხოვდნენ, რომ მთავრობისთვის ნდობა გამოეცხადებინათ, ხოლო ოპოზიციური ჯგუფი მოსკოველებისა მოითხოვდა, რომ მთავრობასთან ნდობის გამოსაცხადებლად მათ მიერ შემუშავებულ და პეტროგრადელების მიერ შესწორებულ დეკლარაციის პროექტი წარედგინათ.

**სახალხო სოციალისტები.**

სახალხო სოციალისტების ჯგუფს პეშეხონოვი თავმჯდომარეობდა. მათ სიკვდილით სასჯელი სამშობლოსა და რევოლუციის სახსნელად საჭიროთ სცნეს.

**სასურსათო მოღვაწეთა ჯგუფი.**

სასურსათო მოღვაწეთა ჯგუფმა ის აზრი გამოსთქვა, რომ პურის ფასები შეურყევლად უნდა დარჩეს, რომ საჭიროა, სასურსათო და მიწათ-მოქმედების მინისტრების შეთანხმებით მოქმედება, მანუფაქტურაზე და რკინაზე მონოპოლიის შემოღება, პურისა და შაქრის მონოპოლიის შენახვა და სურსათის მისაწვდენად გეგმის შემუშავება.

**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების თათბირი.**

ოთხთა მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს ალექსინსკი ეროვნულ დაცვის ნიადაგზე დგომას მოუწოდებდათ. მისი აზრით სამინისტროში ციმმერვალდელებს ალაგი არ უნდა ჰქონდეთ. ალადინის აზრით, მთავრობა მხოლოდ მაშინ იქნება ძლიერი, თუ სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლები მას ნდობას გამოუცხადებენ. ამასთან მთავრობის მიზანი ეროვნული დაცვა უნდა იყოსო. ანრეპმა განაცხადა, რომ საჭიროა დეკლარაციაში ისეთ პუნქტის შეტანა, რომელიც საკუთრების უფლების დაცვას შეეხებოდეს. მას წინ აღუდგნენ ეფრემოვი და მთელი რიგი გლეხთა წამომადგენლებისა, რადგან მისი განცხადება აღიარეს იმ მემამულეთა სურვილად, რომელთაც ჰსურთ, რომ გლეხებს მიწა არ ჰქონდეთ.

**ხალხის თავისუფლების პარტია**

ხალხის თავისუფლების პარტიაში ორ მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთი ჯგუფი. ტესლენსკის მეთაურობით ამტკიცებდა რომ ახლანდელი მთავრობა სამშობლოს მხსნელ მთავრობად ვერ ჩაითვლება, რადგან მემარცხენე პარტიებისკენ იხრებაო მეორე ჯგუფი, აჯემოვისა და როდიჩევის თაოსნობით, ამტკიცებდა, რომ სოციალისტებთან განხეთქილების დრო ჯერ არ დამდგარა. თათბირი გამწვავდა დასასრულ მილიუკოვმა განაცხადა, რომ შესაძლოა ორთავ დებულების შერიგება, და რომ მთავრობამ უნდა მიიღოს ის საერთო ეროვნული პროგრამა და პირობები, რომელნიც ხალხის თავისუფლების პარტიამ წარუდგინა კერენსკის.

**მუნიციპალური ჯგუფი.**

მუნიციპალურ ჯგუფის სხდომაზე პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე ისაევმა განაცხადა, რომ საჭიროა ქალაქის თვითმართველობაში სრულიად არ ერეოდეს ადმინისტრატიულ მთავრობა და რომ სასურსათო საქმე მთლად ქალაქებს გადაეცეს.

**ჩხეიძის სიტყვა.**

ჩხეიძის გამოსვლას მემარცხენენი მიეგებნენ ტაშით და ძახილით: „გაუმარჯოს ბელადს რუსეთის რევოლუციისას!„ ჩხეიძემ სთქვა: „თუმცა წინა ორატორმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაუქმებულ იქმნან დეპუტატთა საბჭოები, მე მაინც გამოვდივარ სალდათთა ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის, კოოპერატივების, ფრონტების და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციების სახელით, ჩამოთვალა ჯერ, თუ რა საშინელს განსაცდელში დღეს რუსეთი და შემდეგ განაგრძო: დემოკრატია აცხადებს, რომ იგი არ დაერიდება არავითარ მსხვერპლს, რათა დაიხსნას სამშობლო და რევოლუცია, ამიტომ საბჭოთა სახით რევოლუციური დემოკრატია მხარს დაუჭერს ყოველ მთავრობას, რომელიც კი გამოიჩენს უნარს დაიცვას ინტერესები ქვეყნისა და რევოლიუციისო.

**დემოკრატიის დეკლარაცია**

ამის შემდეგ ჩხეიძე აქვეყნებს დეკლარაციას. რომელიც შედგენილია დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყველა წარმომადგენლებისაგან და აღიარებს რომ შეიძლება ჯარისა და ქვეყნის აღორძინება და რუსეთისა და რევოლუციის ხსნა მხოლოდ მაშინ, თუ სარევოლუციო დემოკრატია ერთად სარევოლიუციო ხალხთან მიიღებს ნამდვილ საქმიან მონაწილეობას ამაშიო ქვეყანა შეიძლება გამოვიყვანოთ დღევანდელ ტრაღიკულ მდგომარეობიდან და დავიცვათ იგი გარეშე და შინაგან მტერთა შეტევისაგან მხოლოდ ისეთი მთავრობით, რომელიც დაეყრდნობა მრავალ მილიონიან ხალხის ძალებსა. ყოველი ცდა, მოსპოთ და დაარღვიოთ დემოკრატიული ორგანიზაციები, დაჰბადავს უფსკრულს მათსა და მთავრობას შორის, გაჰხდის მთავრობას იარაღად შეძლებულ კლასების ხელში. რევოლუციის ღალატი არის იგივე გაცემა სამშობლოს.

**რას მოითხოვს სარევოლუციო დემოკრატია.**

შეერთებული რევოლთციური დემოკრატია ფიქრობს, რომ ქვეყნისა და რევოლუციის ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქმნენ ზოგიერთი ზომები ყველა დარგში, კერძოდ კი: მონოპოლიის შემოღება პურზე, მტკიცე ფასები სამეურნეო ნაწარმოებებზე, სოფლისთვის მიწოდება სამრეწველო ნაწარმოებთა, მტკიცე ფასების დადგენა მათზე, მოწესრიგება ხელფასის საქმისა, ტრანსპორტისა, აღდგენა წარმოებისა და მრეწველობისა, კანტროლის შემოღება მათზე და თუ საჭიროა სახელმწიფოს მიერ მათი სინდიკალიზაცია და მონოპოლია, შრომის დაცვა, დაარსება შრომის ბირჟებისა და შემარგებელ კამერებისა, შრომის ბეგრის შემოღება ყველა კლასებზე, მოწესრიგება შემოსავლის კვალობაზე გადასახადისა, აგრეთვე სამხედრო მოგებაზე და მემკვიდრეობაზე, გადასახადების დადება ფუფუნების საგნებზე და ღირებულების მომატებაზე, იძულებითად განაწილება სესხისა, სასტიკი კანტროლი საკრედიტო დაწესებულებებზე, მოწესრიგება მიწის საქმისა ადგილობრივ კომიტეტების დახმარებით, განსაზღვრა უფლებათა და ვალდებულებათა კომანდის შემადგენლობისა და ჯარის ორგანიზაციათა კომისარებისა და სხვა. ჩხეიძემ გაათავა სიტყვა მოწოდებით მხარი დაუჭირონ სავსებით უფლება-მოსილ მთავრობას; მთავრობა რომელსაც ენდობა ხალხი, შესძლებს დასძლიოს ყოველი გაჭირვება და განამტკიცოს ფაქტიურად არსებული რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა. (ცხარე ტაში·)

ქ. ქუთაისში წყალ-გაღმა უბანში 3-მე ალექსანდროვის ქუჩაზე

# იყიდება

**ორ სართულიანი სახლი** რომელიც შეიცავს 12 ოთახს და სამასი კვადრატი საჟენი მიწა. ფასების გაგება შეიძლეია იქვე. მისამართი: 3-მე ალექსანდროვის ქუჩა № 1 აგრაფინა ნიჟარაძისა.

---

# რუსეთი

პ. დ. ს.

დეპეშები.

**რუსეთის სამღვდელოების ყრილობა.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 15. დილიდან ლიტურღიები იყო ქალაქის ყველა ტაძრებში, ეკლესიებში და მონასტრებში. 28 ადგილიდან კრემლისკენ ჯვაროსნები დაიძრნენ. „წითელი მოედანი“ სულ დაფარული იყო ხალხით. ივერიის სამლოცველოდან „ლობნოე მესტო“მდე ლიტანია იყო გამართული, რომელშიაც სხვათა შორის მონაწილეობა მიიღეს მინისტრებმა და როძიანკომ. ყველა მიტროპოლიტების მონაწილეობით მიძინების ტაძარში ღვთის მსახურება მოხდა. შემდეგ 60 სამღვდელო პირმა მიტროპ. ვლადიმირის მეთაურობით პარაკლისი გადაიხადა. მიტროპოლიტმა ამბიონზე დაიკავა ადგილი სინოდის ღრამოტა გამოაქვეყნა საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ. დამსწრეთ როძიანკოს მეთაურობით „სიმბოლო სარწმუნოებისა“ იგალობეს. ყველა ეკლესიებზე ზარის რეკა დაიწყო. ლიტანია ჩუდოვის მონასტრისკენ გაემართა, სადაც მიტროპოლიტები რიგ-რიგად შევიდნენ მონასტერში და წმ. ალექსის ნეშთს ემთხვივნენ. შემდეგ „ლობნოე მესტო“ზე საყოველთაო პარაკლისი გადაიხადეს. ლიტანიის კრემლში დაბრუნებისას მიტროპოლიტის ბინაზე ტრაპეზა გაიმართა. 16 აგვისტოს პირველი კრება იქნება. ყველა ეკლესიებში გუშინ ღამის თევით ლოცვა მოხდა. სულ ჩამოსულა 300 წევრი. პირველ კრებას კერენსკიც დაესწრება.

---

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**საფრანგეთის დაღუპულ გემების რიცხვი.**

**პარიზი.** აგვისტოს 9. კვირის განმავლობაში საფრანგეთის ნავთსადგურებში მოვიდა 1063 გემი, გავიდა 1012 გემი. დაღუპულ იქნა 9 გემი, ხოლო 3 დაზიანებული.

**იტალეთის ასპარეზი.**

**რომი** აგვისტოს 13. მეორე ლაშქარმა აიღო მთა სანტო და წინსვლას განაგრძობს ვაინისპეცას აღმოსავლეთით. ტყვეთა რიცხვი აღწევს: 600 აფიცერი და 2300 ჯარის კაცი. ხელთ გვიგდია 750 ზარბაზანი, დიდძალი საომარი და საკვები მასალა.

**არაბეთის ამბები.**

**ლონდონი.** აგვისტოს 10. სამხედრო მინისტრი იუწყება: ჰეჯარის მეფის ჯარებმა დაამარცხეს ოსმალნი, მოჰკლეს 700, ამდენივე ტყვედ წამოიყვანეს და 14 ზარბაზანი წართვესო. მექქის შერიფისაგან დაწყებული მოძრაობა ეტყობა გავრცელდა მთელ ჰეჯასზე და კვლავაც ვრცელდება მის დასავლეთით.

**გერმანელები ემზადებიან მომქმედი ლაშქარი.** აგვისტოს 14. 2 უკანასკნელ დღეში რიგა--მიტავას გზით გერმანელები ჯარს დაჟინებით უყრიან თავს.

---

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

**გაქცეულები ბოლშევიკების თათბირი.**

„ფოსიშე ცაიტუნგი“ს სტოკჰოლმელი კორესპოდენტი დეპეშით იტყობინება კოპენჰაგენში, რომ ამ დღეებში რუსეთიდან გამოქცეულ ბოლშევიკების საიდუმლო თათბირი მოხდება ყველა იმ ღონისძიებათა და ზომათა განსახილველად, რომელიც დროებით მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული.

**ქაღალდის გატანის აკრძალვა.**

8 აგვისტოდან მოყოლებული, შვეციაში აიკრძალა სახელმწიფოს საზღვრების გარეშე შემდეგი ხარისხის ქაღალდისა გატანა: საგაზეთო, წიგნების საბეჭდავი, ნაცრის ფერი, თეთრი, ჭრელი, საქაღალდის მასალისა და ისეთი ქაღალდისაც, რომელსაც წყლის ნიშნი არა აქვს.

**მუშების დახვრეტა.**

სამხედრო და სამართლის მინისტრებმა შემდეგი დეპეში მიიღეს კიევიდან: 16 ივლისს, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე საინჟენერო-საალმშენებლო მე-5 რაზმში დამკვრელ ბატალიონის მიერ, რომელიც ქალაქში სდგას, პორუჩიკის კომანდით დახვრეტილ იქნა ორი სანგრის მკეთებელი მუშა: მუშათა რაზმის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე პოპოვი და კომიტეტის მდივანი ჩისლიუკი, ორივე მუშა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დახვრიტეს ამის დასანახად ძალით მორეკეს ყველა დანარჩენი მუშები დარაზმის დამხმარენი. რაზმი რამოდენიმე მოხელეს აბრალებენ ამ საზიზღარ ამბების თაოსნობას. ამ სასჯელის შემდეგ ისეთი განწყობილება და ატმოსფერა დამყარდა მე-5 რაზმში, რომ ის, ვინც ჯალათად არა გრძნობს თავსა, თავისუფლად ველარ სუნთქავს. ეს გარემოება, ჩვენ, ქვე მორე ხელის მომწერთ გვაიძულებს მთელს ქვეყანას შევყვიროთ; გვიშველეთ! ჩვენ მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ დაინიშნოს ამ საქმის სახელმწიფოებრივი გამოძიება, დამნაშავეთა აღმოსაჩენათ.

**ჩეხები სილეზიას ითხოვენ.**

ჩეხელ აგრარიების ორგანო „Wecer“-ი სწერს: „ჩეხების სახელმწიფო იმას კი მოახერხებს, რომ დააბრუნებიოს პრუსიას გლატცის ოლქი და სილეზია, რომელნიც პრუსიას ძალით წაართვა ჩეხთა გვირგვინსო.

**პოლონეთის სარეგენტო სიტყვა.**

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ ბერლინიდან ატყობინებენ: პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, პოლიტიკურ დეპარტამენტის გამგე როსტვორსკი, რამოდენიმე პოლონელ პოლიტიკურ მოღვაწეთა თანხლებით სტოკჰოლმს გაემგზავრა, სადაც გრ. ტარნოვსკის, როგორც ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩს მოელიან. ტარნოვსკის დიდი გავლენა აქვს პოლონურ წრეებში. ამ მგზავრობას დიდ პოლიტიკურ ხასიათს აძლევენ. გაზეთის კორესპონდენტი ირწმუნება, რომ საქმე პოლონეთში სარეგენტოს დამყარების კითხვას ეხება.

---

# ახალი ამბავი.

ქუთაისი.

**მკვლელობა, დაჭრა და მილიციისთვის იარაღის აყრა.** სოფ. დიდი-ჯიხაიშიდან ქუთ. გუბერნიის კომისარს ატყობინებენ: აგვისტოს 16 იქ თავის ბინაზე მოჰკლეს ადგილობრივ აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე, დასჭრეს სტ. დავით ნუცუბიძე და იარაღი აჰყარეს სამილიციო რაზმს.

✦ **ახალი სასადილო.** ქუთ. მომხ. საზ. კოოპერაციამ ერთობის ქუჩაზე (ყოფილი ალექსანდრეს ქუჩა) სვ. თევდორაძის სახლში გახსნა კოოპერაციული სასადილო. ფასები ხელ-მისაწვდომია.

✦ **თეთრი ფქვილის საჭიროება.** ლანჩხუთის ექიმი ანთაძე დეპეშით ატყობინებს საგუბერ. კომისარიატს, რომ ლანჩხუთში მძინვარებს ეპიდემია და სხვა კუჭის ავადმყოფობა. ავადმყოფთათვის საჭიროა თეთრი პური, რაც ლანჩხუთში არ იშოვება. ანთაძე თხოულობს სასწრაფოთ გაიგზავნოს ლანჩხუთში თეთრი ფქვილი.

✦ **პეშეხონოვის დეპეში.** სურსათის მინისტრ-პეშეხონოვი ქუთ. გუბ. სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ მიმდინარე წლის მოსავალზე არსებულ მაგარ ფასების კიდევ მომატება დრ. მმართველობის მიერ აკრძალულია. ვინც თავის ნებით ასწევს ფასებს, მას რეკვიზიციის წესით ჭირნახულს წაართმევენ. ჭირნახულის ფასები შეთანხმებულ უნდა იქმნას 17 მარტის 1917 წლის კანონთან და მერვე სტატიის დებულებასთან.

✦ **აბრეშუმის პარკისა და ძაფის ფასები.** საბრეშუმო სადგურის გამგე ბ-ნი **იოსებ გიორგის ძე ქუთათელაძე** იტყობინება, რომ ქუთაისის გუბერნიაში პარკის და აბრეშუმის ფასი არა ჩვეულებრივათ გაიზარდა. ამ ჟამათ ფუთი აბრეშუმის ძაფი ღირს 2,200 მან., ხოლო პარკი გამხმარი 250—400 მანეთამდე. **ი. გ. ქუთათელაძე** მოუწოდებს კოოპერატივებს და დაბა-სოფლების ინტელიგენციას დახმარება გაუწიონ ხალხს, რომ ძაფის და პარკის გაყიდვაში ნამდვილი ღირებული ფასი აიღონ.

✦ **ცნობები გუბერნიის კომისარს.** ოზურგეთის აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე ლლონტი ქუთ. გუბერნიის კომისარს გრ. გიორგაძეს აუწყებს, რომ ადგილობრივ მილიციის ნივთიერი მდგომარეობა მეტად უნუგეშოა და თხოულობს შესაფერ დახმარებას. იგივე ლლონტი იტყობინება, რომ ოზურგეთის სარაიონო კომისრებს ჯამაგირი არ მიუღიათ და აგრეთვე სალსარი აღარ არის კომისარიატის ხარჯების დასაფარავათ.

✦ **კრება.** პარასკევს, აგვისტოს 18-ს, დილის 12 საათზე ქალაქის პირველ სასწავლებელში დანიშნულია ქ. ქუთ. სახ. მასწ. კავ. ფილიალური განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. კრებაზედ საჭიროა დაესწროს პროვინციიდან ჩამოსული ამხანაგებიც ფრიად სასწრაფო კითხვების გასარჩევად.

✦ **გუბ. კომასარის განკარგულებანი.** გუბერნიის კომისარი გრ. გიორგაძე მილიციის უფროსს განკარგულებას აძლევს, რომ შაბათამდის ყველა მეეტლეს თან ჰქონდეს მიმოსვლაზე დაწესებული ნიხრი. თუ ამ მოვალეობას არ შეასრულებენ ბირჟაზე გამოსვლა აეკრძალოთ. ქუთ. გუბერნ. საგლეხო საქმეთა მმართველობის მოსამსახურეს დავით ღოღობერიძეს, რომელიც ამ ჟამათ გუბერნიის კომისართან მილიციის საქმეთა მდივნობას ასრულებს, წინადადება ეძლევა შეუდგეს თავის პირდაპირ მოვალეობის შესრულებას.

✦ **არონ რიჟინაშვილის შენობა.** რომელიც ამ ჟამათ საადგილ-მამულო ბანკის განკარგულებაშია, განთავისუფლდება თუ არა, გადადის საგუბერნიო კომისარიატის ხელში საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისთვის, რაც წინდაწინვე უნდა აცნობოს მილიციის უფროსმა არონ რიჟინაშვილს.

✦ **უბედური შემთხვევა.** აგვისტოს 11-ს თეთრ ხიდიდან რიონში გადავარდა და დაიხრჩო სამარის გუბერნიის მცხოვრები ანასტ. კორბოლოვისა. გვამი იპოვეს.

✦ **უწესოება.** მილიციის უფროსი გუბ. კომისარს აუწყებს, რომ აგვისტოს 14-ს სასტუმრო როსტოვში შევიდა ორი მთვრალი ჯარის კაცი და მოითხოვა მეძავი ქალი. როდესაც უარი უთხრეს, ჯარის კაცებმა სასტუმროს პატრონს ცემა დაუწყეს და ძალზე გალახეს. ამ საქმის გამო შესაფერი გამოძიება სწარმოებს.

✦ **სასურსათო სამინისტრომ** წინადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება მისცა ყველა საგუბე ნიო სასურსათო კომიტეტებს რუსეთში, რომ რკინისგზის მოსამსახურეთ არ მისცენ ბამბეულობის ნაქსოვი, ვინაიდან ეს მოსამსახურენი საჭირო მასალას პირდაპირ სასურსათო სამინისტროდან იღებენ.

**სამილიციო ორგანიზაციათა გაცნობა.** მილიციის მთავარმა სამმართველომ პეტროგრადში, რუსეთის სხვადასხვა ა_გილებში ათი, საგანგებო დავალებით აღჭურვილი, მოხელე გაგზავნა, რათა პირადათ გაეცნონ მილიციის ორგანიზაციებს და მათ მოქმედებას.

**საბჭოთა საყურადღებოთ.** შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ქალაქებისა და სამაზრო საერობო საბჭოების საყურადღებოთ, რომ სახელმწიფო ხაზინის კრიტიკულ მდგომარეობისა გამო, შუამდგომლობენ მილიციის შესანახად ხარჯების გადების და ჯამაგირების მომატების შესახებ, უყურადღებოთ იქნებიან დატოვებული სამინისტროს მხრივ.

**ცეცხლი.** „აგვისტოს 14-ს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა ქაშიბაძის მაღაზია. ზარალი ოცდა ათი ათას მანეთს უდრის.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**სოფ. ლეცხვაი.** დეზერტირებმა გაიტაცეს ლიუბა თოფურიას ქალი. მასთან ერთად წაიღეს 100 მან. ფულათ და სხვადასხვა ავეჯი.

## დამხობილი თვითმპყრობელობა და შავი სამღვდელოება.

რომანოვების მეფობის დროს რუსეთში თვითმყრობელობა პეტრე დიდის დროიდან გაძლიერდა. თავისუფლების უფრო გასაძლიერებლად ამ უზომო თავმოყვარე მეფემ რუსეთში პატრიარხობა მოსპო და მის მიერ კოლეგიალური ეკლესიის მართველობა შემოიღო. ამ დღიდან თავზარდაცემული ეპისკოპოზები მის წინაშე მუხლს იდრეკდენ და ვერხვის ფოთოლივით ძიგძიგობდნენ. თვითმყრობელობის ჟინით გაჟღენთილმა მეფემ თუ ეპისკოპოზები თვითონ დაიმონავა, სამაგიეროთ მათ თეთრი სამღვდელოება მისცა საჯიჯგნათ და მონა-მოსამსახურედ. ძნელად ნახავთ რუსეთში ისეთ ეპისკოპოზს, რომელსაც მღვდელი ფეხზე დგომით ემუსაიფებოდეს და თავის ქირ-ვარამს მოახსენებდეს. იქ, საზოგადო წესათ მიღებულია, მღვდელ-მთავარს მუხლ-მოდრეკით თაყვანი უნდა სცე და შემდეგ, თუ ვინიცობა არის, ნება დაგრთო და მოწყალება მოიღო, ფეხზე ადგომით ადგები, მაგრამ თავჩაქინდრული უნდა იდგე, მზგავსად სახარების მეზვერისა, და ისე მოახსენებდე შენ გაჭირვებას. წარმოიდგინეთ, მკითხველო, ასეთი მონური მოქცევა თეთრი სამღვდელოებისა, კიდევაც ახარებს ადამიანობას მოკლებულ რუსის მღვდელმთავრებსა. ქრისტეს მოადგილეობას, ეს მართალი ქვეყნისა, თავის ხელქვეითი სამღვდელოების დამონავებაში და დაბეჩავებაში ხედავს.

ქართველმა მღვდელმთავრებმა, როგორც რუსეთში აღზრდილებმა, ბევრი სისასტიკე გადმოიღეს რუსის მღვდელმთავრებისაგან. ღმერთ წინაშე იმას ვერ ვიტყვით, რომ ჩოქით სვლა და მუხლმოდრეკილი ხვეწნა მუდარა რომელიმე ქართველ მღვდელმთავარს ენებებიოს, მაგრამ მთხოვნელი მღვდლის პიროვნების შელახვა და არა რად ჩაგდება ჩვეულებრივი მოვლენა იყო და არის ჩვენი მღვდელმთავრებისა. ვინ ხარ, რა გინდა, წადი-წადი, შესაწყალო, უგნურო და სხვა ამგვარი ეპიტეტებით ამკობდნენ და ამკობენ ქართველ მღვდელმთავრები თავის მახლობელ თანაშემწეებს, თავის ძმებს (ქრისტეს სწავლისამებრ უმცროსი ძმებია მღვდლები ეპისკოპოზებისა. ეს ნათლად სჩანს ქრისტეს შემდეგი სიტყვებიდან: „არქუთ ძმათა ჩემთა, წარვიდენ გალილიას და მუნ მიხილონ მე“). დღეს, როდესაც კათალიკოზის არჩევის საკითხია წამოყენებული, ერთობ დროულია სამღვდელოება ამ სამწუხარო მოვლენას დაუკვირდეს და ჩვენი ეპისკოპოზების მადა და თავმოყვარეობა ალაგმოს, ნუ თუ ჩვენ მარად ჟამს ასეთ დამცირებას უნდა განვიცდიდეთ ეპისკოპოზებისაგან? არა, იყო, და აწი, არამც და არამც ეს აღარ უნდა იყოს. მარტო მშრალი სიტყვებით ამის ნდობა საეჭვოთ მიმაჩნია, მთავრობის მოყვარეობა კიდევ წასძლევსთ მათ. ამისათვის დიდათ საჭიროა მღვდლებისადმი ზრდილობიანი მოპყრობა მღვდელმთავრებისაგან ერთ-ერთ მუხლად იქნეს შეტანილი საერთო წესდებაში, რომელიც უნდა შემუშავდეს მომავალ ჩვენ საეკლესიო კრებაზე.

მ. ქუთათელი.

## ზოგიერთ ჩინოვნიკებს.

დადგა დრო თავისუფლებისა, დაიმსხვრა ის ხუნდები, რომლებითაც შებორკილი ჰქონდა ხელფეხი და ენა საწყალ ხალხს. დღეს ყველა თანამდებობის პირი ეფიცება ხალხს, შენი ძმა და ამხანაგი ვარო, მეც შენსავით ვიტანჯებოდიო მაგრამ, ვაი! რომ ეს ცარიელი სიტყვებია. ბევრია კიდევ ცხვრის ტყავში გახვეული. სასამართლოში შეხვალ, იგივე გვერდზე ბღვერა, სწორა არ დაგელაპარაკებიან. ისევ ძველი დახავსებული დროის მთავრობის ერთგულებას უფრო იჩენენ.

ყველამ კარგათ ვიცით, თუ რა სამართლით ჩამოართვა ძველათ ხაზინამ ეკლესია მონასტრებს ადგილები და კერძო პირები სულ ზედ მიატანა. ატიძრებოდა საჩივარი თუ არა კერძო პირებსა და ხაზინას შორის, ხაზინას თავისი ერთგული ჩინოვნიკები ჰყავდა, იმდენს გდევდენ საქმეს, სანამ საქმეს არ წაგაგებინებდენ და მერე ზარალს კისერზედ დაგაწერდენ. ასე იყო წინათ, ასეა ამ თავისუფლების ხანაშიაც. ძველი ცოდვები ეპატიებათ იტყვიან, დრონი მეფობენო, ახლა მაინც ეს აღარ უნდა ხდებოდეს, ტყუილათ ნუღარ იძახით, ბატონებო, თქვენი ჭირისუფალნი ვართ, თქვენთვის თავს დავდებთო. ამ ორ სამ თვეში საყურადღებო მაგალითები იყო. მოვა დრო, ბატონებო, ხალხი მოიცლის თქვენთვის და მის მსჯავრს ვერ წაუხვალთ, გამოაშკარავდება ყოველივე, არ დავარდება სიტყვა: „საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ.“

გულშემატკივარი.

## მოწერილი ამბები.

**ს. ლანირი.** ორი წლის წინად სოფლისთვის გულშემატკივართა ჯგუფში დაიბადა აზრი მცხოვრებთა შეკავშირებისა. კოოპერატივის გახსნის სურვილმა უცბად მოიკიდა ფესვები სოფლებში. სულ მოკლე ხანში აიღეს ნებართვა. კოოპერატივისათვის ადგილის ამორჩევამ ზოგიერთ სოფლის ინტრიგანების წყალობით აურზაური გამოიწვია. მიუხედავათ იმისა, რომ საქმის ინიციატორებში მოითხოვდენ სოფლის საშუალო ადგილს, ეს არ მოხერხდა და საქმეს კი აგვიანდებოდა. მოგეხსენებათ, კანონი კოოპერაციის შესახებ მოითხოვდა, რომ კოოპერატივი ნებართვის დამტკიცების დღიდან ერთი წლის განმავლობაში გახსნილიყო, თუ არა და ნებართვას ძალა ეკარგებოდა. დრო გადიოდა და საქმეს ბოლო არ უჩანდა. ხედავდენ ამას ინიციატორები, ყბედთა ყაყანს ყური არ ათხოვეს და პირდაპირ მოქმედებას შეუდგენ გაიხსნა კოოპერატივი იქ, სადაც ამხანაგობის წევრთა რიცხვი მეტი იყო. ერთგვარმა ჯიბრმა, მოდამ თუ ცრუ თავმოყვარეობამ, სოფლის მოწინავე პირათ, მეთაურათ გამოჩენის მსურველთა წყალობით უკანასკნელ ხანამდე ოთხ ადგილას ახალ-ახალი კოოპერატივები ლანირის საზოგადოებაში: პირველი კოოპერატივი „სინათლე“ ს. ლანირში, შემდეგ ევრედ წოდებულს ახალ ბაზარში, ს. ქუტირში და ს. ჯიხაიშში. ასეთმა კუთხურმა ჟინიანობამ გამოიწვია ერთგვარი კონკურენცია კოოპერატივებს შორის, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება კოოპერატიის იდეას. მიუხედავად იმისა, რომ „სინათლის“ ინიციატორნი ყოველთვის მოითხოვდენ შეერთებას, ეს არ ხერხდებოდა. უკანასკნელ ხანებში თვით სოფლის ცხოვრებამ მოითხოვა ეს შეერთება-შეკავშირება სოფლის ძალებისა. ამას ზედ დაერთო ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის კატეგორიული განცხადება, თუ არ შეერთდება საზოგადოების ყველა კოოპერატივები; მოესპობათ ყოველ-გვარი დამოკიდებულება და ურთიერთობა კავშირთან შეერთების მოწინააღმდეგეთო. შეერთების თაოსნობა ხელში ისევ კოოპერატივ „სინათლეს“ ხელმძღვანელთ აიღეს. ამ მიზნით მოიწვიეს ს. გვაზაურის ეკლესიაზე კრება. კრებას ხალხი ბლომათ დაესწრო. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლ. დგებუაძე, მდივნათ კ. მიქაბაძე. თამჯდომარემ გააცნო ხალხს საქმის ვითარება. „სინათლის“ ხელმძღვანელნი ყოველთვის შეერთების მსურველნი იყვნენ, ყოველთვის საზოგადოების საშუალ ადგილზე მოითხოვდენ კოოპერატივის გახსნას და, თუ ეს არ მოხერხდა, „სინათლის“ ხელმძღვანელთა ბრალი არ არის; ისინი დღესაც მოითხოვენ შეერთებას; შრომა და ენერგია არ უნდა დავიშუროთ, რომ ეს შეერთება მოხდესო. ამ საგნის შესახებ თავმჯდომარემ მოუწოდა კრებას თავისი აზრი გამოეთქვა. გასაოცარის სიდინჯით, სიდარბაისლით და საქმის ცოდნით ეხებოდა ყოველი წევრი კრების საგანს. ასეთი მწყობრი საქმიანი კრება არა თუ ჩვენი ჩამორჩენილი სოფლისათვის, ქალაქისთვისაც იშვიათი შემთხვევაა. არ იკითხავთ როგორი იყო კრების შემადგენლობა? ერთის შეხედვით იყო ვითომდა უეიცი გლეხობა! უცხოს განცვიფრებაში მოიყვანდა მათი საქმიანობა და მოწინაამდეგის აზრის კრიტიკა. კრება გავრძელდა თითქმის ღამის 12 საათამდე, მაგრამ არც ერთი კრების მსვლელობის შემაფერხებელი სიტყვა, არც ერთი უადგილო გამოსვლა არ ყოფილა. მწყობრათ დაწყებული კრება მწყობრათვე დამთავრდა. კრებამ დაადგინა, რომ საზოგადოების საშუალ ადგილზე გაიხსნას საზოგადოების ყველა კოოპერატივებისათვის საწყობი, რომელსაც კავშირი გამოუგზავნის საჭირო სანოვაგესა და საქონელს. კრების დასასრულ კოოპერატივის „სინათლეს“ გამგეობას მიანდვეს მთელი საზოგადოებისთვის ამ კრების აზრი შეერთებაზე. განაჩენზე ხელი მოაწერეს ყველა დამსწრეებმა განურჩევლათ სქესისა, შუაღამე გადასრული იყო, რომ დაიშალენ.

ასეთი შეგნებული მოპყრობა საქმისადმი, ასეთი საქმიანობა ჩვენი სოფლისა გარანტიაა ჩვენი მომავალ ცხოვრების ხალხის სურვილისამებრ მოწყობისა. არ შემიძლია ჩემი აღფრთოვანება არ გამოვთქვა და გამარჯვება არ ვუსურვო ჩვენი სოფლის ასეთს შეგნებულს მოქმედებასა და საქმიანობას.

ლას-დონ.

— —

**ს. სარგვეში.** აგვისტოს 9 ხარაგოულის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ს. სარგვეში მოწვეული იყო ადგილობრივ მცხოვრებთა კრება. ამავე კომიტეტის თხოვნით ზესტაფონის მუშათა საბჭოს გამოეგზავნა ერთ-ერთი წევრი კ. საყვარელიძე ხალხის მოსამზადებლად დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის. კრებას დაესწრო აგრეთვე ხსენებულ კომიტეტისაგან გაგზავნილი გრ. კამკამიძე და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლები ლ. დგებუაძე და კ. ვეფხვაძე. რადგანაც კრება მოწვეული იყო საქმი დღე, ამიტომ სასურველი რიცხვი სოფლებისა ვერ დაესწრო. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ადგილობრივი მცხოვრები გ. დეკანოსიძე. პირველი სიტყვა მიეცა კ. საყვარელიძეს, რომელმაც ილაპარაკა თითქმის 2 ნახ. საათს, გააცნო ხალხს რევოლუციის მოკლე ისტორია სიტყვის შესავალში, გადავიდა შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამის განმარტებაზე. დაწვრილებით განიხილა პროგრამის პოლიტიკური, და აგრარული მხარეები, განსაკუთრებით კი დიდხანს ილაპარაკა სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირისა და გაფიცვის თავისუფლებისა და არჩევნების შესახებ, გაკვრით შეეხო ს.-დემოკრატების ეროვნულს პროგრამას და თავისი სიტყვის ბოლოში მოაქცია აგრარული კითხვა. მოითხოვდა, რა თქმა უნდა, მუნიციპალიზაციას. დასასრულ ხალხს მოუწოდა დამფუძნებელ კრებაზე გაეგზავნათ მხოლოდ ს.-დემოკრატი. სიტყვა მეტად გრძელი და მოსაწყენი იყო. საყვარელიძის შემდეგ ილაპარაკა ლ. დგებუაძემ (ერ.-დ.), რომელმაც განმარტა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უმთავრესი მუხლები, ამ პარტიის ეროვნული მოთხოვნა, მიწის საკითხი და შემდეგ მუხლობრივ დაარღვია ს.-დ. კ. საყვარელიძის მიერ წამოყენებული დებულებანი. დასასრულ ხალხს გააცნო ის საფრთხე, რომელიც მოელის ქართველ ერს დამფუძნებელ კრების არჩევნებზე ის არა სასურველი ძალთა განწყობილება ამომრჩევლებისა ქართველი ერისათვის, რომ ქართველი ერის შვილების უმეტესობა ბრძოლის ველზეა გაწვეული, ამათგან უმეტესობა რუსეთის უზარმაზარ სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეებშია გაფანტული, რომ ქართველი ამომრჩეველი შედარებით სხვებთან ძლიერ ნაკლები იქნება, რომ ქართველ ამომრჩეველის რიცხვს თითქმის აღემატება რუსის ჯარის კაცობა, ამასთანავე დაუმატა ისიც, რომ სომხების გონიერ ეროვნულ პოლიტიკით ომის დაწყებიდანვე შესდგა გაწვეულ სომხის ჯარის კაცებისაგან სომხური დრუჟინები და ბატალიონები და ისინი კავკასიის საზღვრებს არ გასცილდებიან, მუსულმანობიდან არც ერთი ჯარის კაცი არ არის გაწვეული და ამით კავკასიაში მოსახლე ყოველს ერს უპირატესობა ეძლევა ქართველ ერზე და თუ კიდევ დაუმატებთ იმას, რომ ქართველობა პარტიულს ბრძოლაში ჩაებმება არჩევნების დროს ქართველი ერის წარმომადგენელი ვერ იხილავს დამფუძნებელ კრებას და თუკი ავირჩევთ, ავირჩევთ ძლიერ ცოტასო. ამიტომ მოუწოდა ხალხს მოეთხოვა ქართული პოლიტიკური პარტიების შეერთებული გამოსვლა დამფუძნებელ კრებაზე. და თუ კი ეს არ მოხდება ხმა მიეცათ მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კანდიდატებისთვის, რადგანაც მხოლოდ ამ პარტიას შეუძლია დაიცვას ქართველი ერის და მისი უმეტესობა გლეხობის ინტერესები. შემდეგ ილაპარაკეს გრ. კამკამიძემ და ისევ კ. საყვარელიძემ. ორივე ორატორი კრიტიკას უკეთებდა ლ. დგებუაძის მიერ ნათქვამს ჩვეულებრივი დემაგოგიური სესხით, რასაც მოხდენილი პასუხი გასცა ერ. დ—მა კ. ვეფხვაძემ. ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ ს.-დ—ბი დგანან კლასთა ბრძოლის ნიადაგზე, რომ ისინი არიან პროლეტარიატის იდეოლოგები და წმინდა პროლეტარული პარტია. ქართული საზოგადოება-კი, და განსაკუთრებით სოფელი, არ არის დანაწილებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ორ მოწინააღმდეგე კლასათ (ბურჟუაზია და პროლეტარიატი), რასაც აუცილებლივ მოითხოვს მარქსისტული თეორია მარქსისტულ იდეების გასავრცელებლათ და ცხოვრებაში გასატარებლათ. ამიტომ არც ს.-დემოკრატიას აქვს ადგილი სოფლათო. კიდევ მცირედი კამათის შემდეგ კრება დაიხურა და ხალხიც ნასიამოვნები დაიშალა. სოფელი ხედავს და გრძნობს, რომ მას შეუძლია იაროს მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიასთან ერთად.

ლას-დონ.

## რ უ ს ე თ ი.

**წერეთელი ოტტო ბაუერი და რუსის აფიცრობა.**

ამ ჟამად პეტროგრადში იმყოფება ავსტრიელი ცნობილი სოციალ-დემოკრატი სამხედრო ტყვე ოტტო ბაუერი. ამ დღეებში სამხედრო მინისტრის კაბინეტს დეპეშით შეეკითხა ჯარებისა და ფლოტის აფიცერთა კავშირი. მოითხოვს იმ მოვლენის გამარტებას, თუ როგორ მოხდა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე მინისტრები სკობელევი და წერეთელი გულ-მხურვალეთ მიესალმენ სამხედრო ტყვეს ოტტო ბაუერს. სამხედრო მინისტრის კაბინეტის უფროსმა უპასუხა, რომ მას ეს ამბავი არ მოეხსენება. მან იცის მხოლოდ, რომ ოტტო ბაუერი, როგორც სამხედრო ტყვეს, სოციალ-დემოკრატების შუამდგომლობით კერენსკიმ ნება დართო პეტროგრადში ცხოვრებისა. ოტტო ბაუერი ამ ჟამად კონტრ დამზვერავთა რაზმის მხედველობის ქვეშ იმყოფებაო.

**კონტრ-რევოლუციისაკენ.**

როგორც მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭომ გამოარკვია კიევში კონტრ რევოლუციონერები საიდუმლო კრებებს ახდენდნენ და გეგმას იმუშავებენ, თუ რა საშუალებით აღადგინონ ძველი წესწყობილება. მათ სურთ მისცენ ალექსანდრეს ძე რომანოვს მეფეთ გამოცხადება. უკანასკნელ მათ კრებას 60 კაცი დასწრებია, უმეტესად რეაქციონერი გვარდიის აფიცრები, გრაფები და თავადები, ამათ წინამძღოლი [illegible] კიევის [illegible] ორგანიზაციები. კონტრ-რევოლუციონერები [illegible] ამყარებენ [illegible] მარცხებაზე.

**ჩხეიძე სტოკჰოლმის კონფერენციის თავმჯდომარედ.**

„რ. ვოლია“ გადმოგვცემს, რომ კონფერენციის თავმჯდომარეობაზე დათანხმებულია კარლო ჩხეიძე, თავმჯდომარის ამხანაგებათ იქნებიან ტრულსტრერი და ბრანტინგი. სხვადასხვა ნაციონალური კომისიები და აგრეთვე ის კომისიები, რომელთაც მინდობილი ექნებათ სპეციალი კითხვების, განხილვა, დახურულ კარებში იმუშავებენ. კამათი კრებებზე იქნება სამ ენაზე—რუსულზე, ინგლისურზე და ფრანგულზე. ყველა სიტყვებს ამ სამ ენაზე გადათარგმნიან. კონფერენცია გაიხსნება 27 აგვისტოს.

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ი. ჩარექიშვილი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი 135 №.

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ახათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს
ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავადმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**
გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში